# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 82

18.06.2016წ.

ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შორენა არჯევანიძე (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ ი.მ "ხატია მჭედლიშვილი" (შემდგომში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტია შეუფერხებლად და ხარისხიანად უზრუნველყოს მცხეთის კულტრურის სახლის საკანცელარიო ნივთები შეძენა მიწოდება თანხით სულ 31.30ლარი.

**CPV კოდი მარკერი-30192125-2ლ**
**CPV კოდი კალამი- 30192123-3,50ლ**
**CPV კოდი საქაღალდე -22852000-7,50ლ**
**CPV კოდი ბაინდერი-22851000-7ლ**
**CPV კოდი ჩასანიშნი ფურცელი-30196200—3ლ**
**CPV კოდი საბუღალტრო წიგნები-22813000-2,50ლ**
**CPV კოდი ქაღალდის სკრეპი -30197220-0,70ლ**
**CPV კოდი საშლელი-30192100-1,60ლ**
**CPV კოდი ფაილები -22852100-3,50ლ**
**სულ საერთო თანხით 31, 30(ოცდათერთმეტი და ოცდაათი)ლარი.**

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 31,30(ოცდათერთმეტი და ოცდაათი)ლარი.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: შორენა არჯევანიძე,ხატია კიპაროიძე
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების არშესრულების შემთხვევაში დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს კულტურის სახლის მენეჯერი ხ.კიპაროიძე.

## 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ანდა დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკურლების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარევალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება საქონლის მიწოდების დღიდან 2016 წლის 28 ივლისი ჩათვლით.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
ს/კ 436036362

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22

მის: მცხეთა, მამულაშვილის 12
ტელ: 2 51 25 69

გაერთიანების დირექტორი
შ. არჯევანიძე

---

**მიმწოდებელი**

ი.მ "ხატია მჭედლიშვილი"

ს/კ 24001044420

სს ლიბერთი ბანკის მცხეთის ფილიალი

ბ/კ LBRTGE22

ა/ა GE33LBO112111045731000

მის: დ. აღმაშენებლის ქ.№93

ხ. მჭედლიშვილი

---

## ხელწერილი ინტერესთა კომფლიქტის არარსებობის შესახებ

18.06.16წ

ა(ა)იპ ქ. მცხეთის მონიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი შორენა არჯევანიძე და ი/მ ხატია მჭედლიშვილი ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში. ჩვენს მიერ საქონლის შეძენა-მიწოდება (**CPV** კოდი–30192125,30192123,22852000,22851000,30196200,2283000,30197220,30192100,22852100) არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011. 07.04 №9 ბრძანების გამარტივებული შესყიდვების შესახებ. ასევე, არ ეწინააღმდეგება ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს (№17 მუხლი). აქედან გამომდინარე, ორივე მხარე არ ვიმყოფებით ინტერესთა კომფლიქტში.

გაერთიანების დირექტორი : შ.არჯევანიძე

ი/მ ხატია მჭედლიშვილი